რუსეთის საინფორმაციო ომი სამხრეთ კავკასიაში: მეთოდები, ნარატივები, ინსტრუმენტები

სოფიკო გელავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (კავკასიის კვლევები)

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გელავა
22.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - რუსეთის ჰიბრიდული ომის შედარებით ანალიზს ეხება. ნაშრომი ფოკუსირდება ჰიბრიდული ომის საინფორმაციო განზომილებაზე და მიმოიხილავს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში კრემლის საინფორმაციო ომის შემადგენელ ნარატივებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

კვლევის მიზანია, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ერთი მხრივ შეადაროს რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს კვლევის სამიზნე თითოეულ ქვეყანას რუსეთის საინფორმაციო ომის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი ახსნას ის განსხვავებები, რომლებიც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთება. კერძოდ კი, რა განაპირობებს საქართველოს, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის მიმართ რუსეთის ჰიბრიდული ომის კონკრეტულ არჩევანს. კვლევის შედეგად შემდეგი ჰიპოთეზები დადასტურდა: 1. რაც უფრო მეტად შორდება სამიზნე ქვეყანა რუსულ ორბიტას და დასავლური ინსტიტუტებისკენ მიისწრაფის, მით უფრო ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი. 2. რაც უფრო მეტად არის ქვეყანა რუსეთზე პოლიტიკურად/ეკონომიკურად/ენერგეტიკულად დამოკიდებული, მით უფრო ნაკლებ ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის საინფორმაციო ომი. 3. რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის საინფორმაციო ომი.

საკვანძო სიტყვები: *სამხრეთ კავკასია, რუსეთი, საინფორმაციო ომი, ჰიბრიდული ომი, პროპაგანდა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.*

Abstract

The following thesis is a comparative analysis study of Russian hybrid warfare in South Caucasus countries. The research focuses on the information dimension of the hybrid warfare and discusses narratives, methods, and instruments of Kremlin information warfare in the three countries - Georgia, Armenia, and Azerbaijan.

The aim of the research, on the one hand, is to identify similarities and differences between these countries in terms of Russian information warfare and on the other hand explain the factors, which determine these characteristics. In particular, using qualitative research methods, the thesis will answer what determines the choice of Russian hybrid methods in Georgia, Armenia, and Azerbaijan.

The research confirmed the following hypothesis: 1. The more the target country strives for Western integration, the more intensive is the Russian information war. 2. The more the target country is dependent on Russia; less intensive is Russian information war. 3. The more the country is democratic, the more intensive is the Russian information war.

Keywords: *South Caucasus, Russia, Information Warfare, Hybrid Warfare, Propaganda, Georgia, Armenia, Azerbaijan.*